



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
სახელმწიფო ენის დეპარტამენტი
გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities
Giorgi Akhvediani Society for the History of Linguistics

ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი

სამეცნიერო კონფერენცია

**SCIENTIFIC CONFERENCE DEDICATED TO
THE DAY OF THE GEORGIAN LANGUAGE**

პროგრამა/თეზისები

PROGRAM/ ABSTRACTS

თბილისი/TBILISI

აპრილი 15 APRIL

2026



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
სახელმწიფო ენის დეპარტამენტი
გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის
საზოგადოება
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities
Giorgi Akhvlediani Society for the History of Linguistics

ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი
სამეცნიერო კონფერენცია

Scientific Conference

Dedicated to the Day of the Georgian
Language

პროგრამა/თეზისები
Program/Abstracts

თბილისი/Tbilisi
აპრილი 15 April
2026

სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტი:

პროფესორი დარეჯან თვალთვაძე
პროფესორი გიორგი ალიბეგაშვილი
პროფესორი ნაირა ბეპიევი
ასოცირებული პროფესორი თინათინ ბოლქვაძე
ასოცირებული პროფესორი ეკატერინე ნავროშაშვილი
ფილოლოგიის დოქტორი ნინო პოპიაშვილი
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი მაია გურაბანიძე
ისტორიის დოქტორი მანანა ლილუაშვილი
ისტორიის დოქტორი ზურაბ გაიპარაშვილი

Scientific and Organizing Committee:

Professor Darejan Tvaltvadze
Professor Giorgi Alibegashvili
Professor Naira Bepievi
Associate Professor Tinatin Bolkvadze
Associate Professor Ekaterine Navrozashvili
Doctor of Philology Nino Popiashvili
Doctor of Art History Maia Gurabanidze
Doctor of History Manana Liluashvili
Doctor of History Zurab Gaiparashvili

რეგლამენტი:

მოსვენება – 20 წუთი
დისკუსია – 5 წუთი
სამუშაო ენა - ქართული

Time Limit:

Presentation – 20 minutes
Discussion – 5 minutes
Working language – Georgian

აპრილი 15 April

10.00-11.00

კონფერენციის გახსნა
Opening of the Conference

მისალმებები
Greetings

ილია ჭავჭავაძის გამზ. №1, თსუ I კორპუსი, თსუ მუზეუმი
1 Ilia Chavchavadze Avenue, TSU 1st Building, TSU Museum

ერეკლე ასტახიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვიცე რექტორი, პროფესორი

Erekle Astakhishvili

Professor, Vice Rector of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

დარეჯან თვალთვაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი,
პროფესორი

Darejan Tvaltvadze

Professor, Dean of the Faculty of Humanities at Ivane Javakhishvili Tbilisi State
University

გიორგი ალიბეგაშვილი

სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარე, პროფესორი

Giorgi Alibegashvili

Professor, Head of the State Language Department

დაჯილდოება
Awarding

11.00 – 11.30

ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა
Exhibition Dedicated to Georgian Language Day

ილია ჭავჭავაძის გამზ. №1, თსუ I კორპუსი, თსუ მუზეუმი
1, Ilia Chavchavadze Avenue, TSU 1st Building, TSU Museum

11.30 – 13.30

სხდომა I Session

ილია ჭავჭავაძის გამზ. №1, თსუ I კორპუსი, თსუ მუზეუმი

1, Ilia Chavchavadze Avenue, TSU 1st Building, TSU Museum

სხდომის თავმჯდომარე – ასოც. პროფ. თინათინ ბოლქვაძე

Chair – Associate Professor Tinatin Bolkvadze

რატი სხირტლაძე, ლეილა ავიძბა, ნათია ფონიავა

ციფრული ტექნოლოგიების როლი აფხაზური ენის (A1 დონე)

სწავლების პროცესში

ააიპ „ენაგრამა“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აფხაზეთის ინსტიტუტი, თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

Rati Skirtladze, Leila Avidzba, Natia Poniava

The Role of Digital Technologies in Teaching the Abkhaz Language (A1 Level)

NNLE Enagram, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Institute of Abkhazian Studies, TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics

ქეთევან მარგიანი, მედეა საღლიანი, ნატო შავრეშიანი,

რუსუდან იოსელიანი, ხათუნა იოსელიანი

სვანური ტოპონიმია: სტრუქტურული და სემანტიკური ანალიზი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

Ketevan Margiani, Medea Sagliani, Nato Shavreshiani, Rusudan Ioseliani, Khatuna Ioseliani

Svan Toponymy: Structural and Semantic Analysis

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics, TSU Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

თინათინ ბოლქვაძე, ნატა ჩხაიძე

სხვადასხვა ენის ბგერითი სისტემების ტრანსკრიფცია-

ტრანსლიტერაციის წესები და კონვერტორები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სახელმწიფო ენის დეპარტამენტი

Tinatin Bolkvadze, Nata Chkhaidze

Guidelines and Converters for the Transcription and Transliteration of the Sound Systems of Various Languages

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, State Language Department

გიორგი ლეკიაშვილი, თამარ გელაშვილი

ინგლისურ-ქართული კონვერტორი: შექმნის პრინციპები, გამოყენება და პერსპექტივები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Giorgi Lekiasvili, Tamar Gelashvili

English-Georgian Converter: Principles, Usage and Perspectives

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

მარინე ჯიბლაძე, ძიენფენგ ლი

ჩინურ-ქართული კონვერტორი: გამოწვევები და პერსპექტივა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Marine Jibladze, Jianfeng Li

Chinese-Georgian Converter: Challenges and Perspectives

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

13.30 – 14.00

შესვენება/Break

14.00 – 16.00

სხდომა II Session

ილია ჭავჭავაძის გამზ. №1, თსუ I კორპუსი, თსუ მუზეუმი
1 Ilia Chavchavadze Avenue, TSU 1st Building, TSU Museum

სხდომის თავმჯდომარე – ასოც. პროფ. ინგა სანიკიძე Chair – Associate Professor Inga Sanikidze

ინგა სანიკიძე

ვინ ნაცვალსახელის ძირეული ფუნქციისთვის ქართულში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Inga Sanikidze

The Core Function of the Pronoun ვინ (who) in Georgian

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ცირა ბარამიძე

ლექსემა *პირ*-ი ქართულ ენაში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Tsira Baramidze

The Lexeme *pir*- in the Georgian Language

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ნაირა ბეპიევი

ოსურ-ქართული სასწავლო ელექტრონული ლექსიკონის

შედგენის პრინციპი და ზოგიერთი თავისებურება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Naira Bepievi

The Principles and Specific Features of Compiling an Ossetian-Georgian Educational Electronic Dictionary

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ნინო პოპიაშვილი

ქართული ლიტერატურის სწავლება ქართულის, როგორც მეორე ენის პროგრამის სტუდენტებისათვის: მიზნები და გამოწვევები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Nino Popiashvili

Teaching Georgian Literature to Students of Georgian as a Second Language Programs: Goals and Challenges

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

რუსუდან მიქელაძე

ქართული ენის სწავლების საკითხი დიუმეზილის პირად არქივში დაცული დოკუმენტების მიხედვით

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Rusudan Mikeladze

The Issue of Teaching the Georgian Language According to Documents Preserved in Dumézil's Personal Archive

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

თეზისები/Abstracts



ცირა ბარამიძე
Tsira Baramidze

ლექსემა *პირ*-ი ქართულ ენაში
The Lexeme *pir*- in the Georgian Language

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

საკვანძო სიტყვები: ლექსემა *პირ*-ი, სემანტიკური ველი, პოლისემიურობა, კონცეპტუალური სისტემა

Keywords: the lexeme *pir*-, semantic field, polysemy, conceptual system

მოხსენებაში გაანალიზებულია ქართული ენის ლექსიკურ სისტემაში განსაკუთრებული ადგილის მქონე ლექსემა *პირ*-ი, რომელიც გამოირჩევა როგორც ფართო პოლისემიით, ასევე მაღალი სიტყვათწარმოების პროდუქტიულობით. აღნიშნული ლექსემა სხვადასხვა კონტექსტში გამოხატავს განსხვავებულ მნიშვნელობებს: იგი შეიძლება აღნიშნავდეს სხეულის ნაწილს („პირი“), სივრცით საზღვარს („მდინარის პირი“), სოციალურ სუბიექტს („ფიზიკური პირი“), ასევე კომუნიკაციურ და ეთიკურ კატეგორიებს („პირობა“, „პირნათელი“, „პირისპირ“). ლექსემა *პირ*-ის მრავალფეროვანი მნიშვნელობების არსებობა მიუთითებს, რომ ლექსემა *პირ*-ი ქართულ ენაში არ წარმოადგენს მხოლოდ პოლისემიურ ერთეულს, არამედ ქმნის **მრავალშრიან სემანტიკურ სისტემას**, რომელიც აერთიანებს ფიზიკურ, სივრცით, სოციალურ და კულტურულ მნიშვნელობებს.

კვლევის მიზანია ლექსემა *პირ*-ის სემანტიკური ველის სტრუქტურის, განვითარებისა და ფუნქციური გამოყენების აღწერა ქართულ ენაში, ასევე იმ კონცეპტუალური კავშირების გამოვლენა, რომლებიც აერთიანებს ამ ლექსემის მრავალფეროვან მნიშვნელობებს. კვლევის მიზნის მისაღწევად განხორციელდა შემდეგი ამოცანები:

1. ლექსემა *პირ*-ის ეტიმოლოგიური და ისტორიული საფუძვლის განხილვა;
2. *პირ*-ისგან წარმოებული ლექსიკური ერთეულების სისტემატიზაცია;
3. ლექსემა *პირ*-ის სემანტიკური ველის ძირითადი ქვეჯგუფების განსაზღვრა;
4. სხვადასხვა კონტექსტში (ლიტერატურულ, იურიდიულ, ყოველდღიურ მეტყველებაში) მისი გამოყენების ანალიზი;
5. იმ კონცეპტუალური კავშირის დადგენა, რომელიც აერთიანებს ლექსემის სხვადასხვა მნიშვნელობას.

კვლევაში გამოყენებულია შემდეგი მეთოდები: ლექსიკური სემანტიკური ანალიზი, კომპონენტური ანალიზი, კონტექსტური ანალიზი, კორპუსული დაკვირვება, აღწერითი და შედარებითი მეთოდი.

კვლევა ცხადყოფს, რომ ლექსემა *პირ*-ი ქართულ ენაში ქმნის მრავალშრიან სემანტიკურ ველს, რომელიც აერთიანებს ფიზიკურ, სივრცით, კომუნიკაციურ და სოციალურ მნიშვნელობებს. ამ მნიშვნე-

ნელობების ანალიზი აჩვენებს, რომ ეს არ არის შემთხვევითი პოლი-სემია, არამედ წარმოადგენს ერთიანი კონცეპტუალური სისტემის ნაწილს. ლექსემა *პირ*-ი ქართულში არ არის მხოლოდ პოლი-სემიური სიტყვა. ის წარმოადგენს **კულტურულ კონცეპტს**, რომელიც აერთიანებს: სხეულის ნაწილს, კომუნიკაციას, სოციალურ იდენ-ტობას, ღირსების კატეგორიას. ეს კონცეპტი მჭიდროდ უკავშირდება ტრადიციულ ქართულ ეთიკას და ადათურ სამართალს. ლექსემა *პირ* ქართულ ენაში ასახავს კულტურულ-სემანტიკურ სისტემას, რომელიც დაკავშირებულია პიროვნულ პასუხისმგებლობასთან, სიტყ-ვით აღებულ ვალდებულებასა და სოციალურ ღირსებასთან.

The paper analyzes the lexeme '*pir-i*', which occupies a distinctive place in the lexical system of the Georgian language and is characterized by both broad polysemy and high word-formation productivity. In different contexts, this lexeme expresses a range of meanings: it may denote a body part (*pir-i* 'mouth'), a spatial boundary (*mdinaris piri* 'riverbank'), a social subject (*physical person*), as well as communicative and ethical categories (*piroba* 'promise', *pirmateli* 'honorable', *pirispir* 'face to face').

The diversity of meanings associated with the lexeme *pir-i* indicates that it should not be viewed merely as a polysemous lexical unit. Rather, it forms a multilayered semantic system that integrates physical, spatial, social, and cultural meanings.

The aim of the study is to describe the structure, development, and functional usage of the semantic field of the lexeme *pir-i* in the Georgian language, as well as to identify the conceptual connections that unify its diverse meanings. To achieve this goal, the following tasks were undertaken:

1. To examine the etymological and historical foundations of the lexeme *pir-i*,
2. To systematize the lexical units derived from *pir-i*,
3. To identify the principal subgroups within the semantic field of *pir-i*,
4. To analyze its usage in various contexts (literary, legal, and everyday speech);

5. To determine the conceptual link that connects the different meanings of the lexeme.

The study employs the following methods: lexical-semantic analysis, componential analysis, contextual analysis, corpus observation, as well as descriptive and comparative approaches.

The research demonstrates that the lexeme *pir-i* in Georgian forms a multilayered semantic field that integrates physical, spatial, communicative, and social meanings. The analysis of these meanings shows that they do not represent random polysemy, but rather constitute parts of a unified conceptual system.

Thus, the lexeme *pir-i* in Georgian is not merely a polysemous word; it represents a cultural concept that encompasses a body part, communication, social identity, and the category of honor. This concept is closely related to traditional Georgian ethics and customary law. In this sense, the lexeme *pir-i* reflects a cultural-semantic system associated with personal responsibility, verbal commitment, and social dignity.

ნაირა ბეპიევი
Naira Bepievi

ოსურ-ქართული სასწავლო ელექტრონული
ლექსიკონის შედგენის პრინციპი და
ზოგიერთი თავისებურება
The Principles and Specific Features of Compiling an
Ossetian-Georgian Educational Electronic Dictionary

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

საკვანძო სიტყვები: ოსური, ქართული, ზმნა, სახელები, ქცევა,
კონტაქტი, ლექსიკონი
Keywords: Ossetian, Georgian, verb, nouns, version, contact, dictionary

ქართულ-ოსური და ოსურ-ქართული ლექსიკონი პირველად გამოიცა ჩვენ მიერ 2012 წელს (შემდგენელი და მთავარი რედაქტორი ნ. ბეპიევი, რედაქტორები: აკად. ნაფი ჯუსოითი, პროფ. თამერლან გურიევი, აკად. ავთანდილ არაბული, პროფ. ნინო პოპიაშვილი) ლექსიკონს ერთვის ოსური ენისა და ქართული ენის გრამატიკული ნარკვევები (ავტორები: აკად. ვ. აბაევი; აკად ა. არაბული).

ამ ლექსიკონის ბაზაზე შეიქმნა ოსურ-ქართული სასწავლო ელექტრონული ლექსიკონი, რომლის შედგენის პრინციპი და ძირითადი ამოცანაა, მკითხველს გაუადვილოს ცნებების, სხვადასხვა ლექსიკური ერთეულის სათანადო აღქმისა და გამოყენების გარკვეული სირთულეები.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის პირველი ასეთი სახის ლექსიკონი. ოსური ენა, ენათა კლასიკური დიფერენციაციით, ინდოევროპულ, კერძოდ, ირანულ ენათა ჯგუფს განეკუთვნება. ამდენად, მისთვის დამახასიათებელია ამ ჯგუფის ენათა მსგავსი ფონეტიკურ-მორფოლოგიური და სინტაქსური კლასიფიკაცია, სხვადასხვა გრამატიკული კატეგორიის თავისებურებების გათვალისწინება, მისადაგება ქართული ენის ფონეტიკურ-მორფოლოგიურ და სინტაქსურ კატეგორიებთან.

ოსურ-ქართულ სასწავლო ელექტრონულ ლექსიკონში გამოყოფილია როგორც ლექსიკური ერთეულები, ასევე, მათი საერთაშორისო ტრანსლიტერაცია, ქართული შესატყვისი, მეტყველების ნაწილი, დეფინიცია, ოსური და ქართული შესატყვისები.

რამდენადაც მსგავსი ტიპის ლექსიკონი არ შექმნილა, ოსურ-ქართული სასწავლო ელექტრონული ლექსიკონის შედგენისას გათვალისწინებულია მრავალი გარემოება:

ზმნის ზოგიერთი კატეგორია, რომელიც ზმნას ქართულ ენაში აქვს, ოსურ ენაში არ მოეპოვება. ქართულ ზმნას აქვს ქცევის სამი კატეგორია: სათავისო, სასხვისო, საარვისო. სამივე კატეგორიას აქვს თავისი ნიშნები: სათავისო ქცევას **-ი** (გავინათე). სასხვისოს **-უ** (გაგუნათე) და საარვისოს **-ა** (გავანათე). როგორც ცნობილია, ოსურ ენაში ზმნას **არა აქვს ქცევის კატეგორია**. ამიტომ ანალოგიური ნიუანსის გამოსახატავად ვიყენებთ დამხმარე ზმნას (გავანათე

ჩემთვის – სათავისო; გავანათე მისთვის – სასხვისო – ძმისთვის; გავანათე – საარვისო – არავინ არ იგულისხმება).

ოსურ-ქართული სასწავლო ელექტრონული ლექსიკონისათვის ყურადღება გავამახვილეთ **კონტაქტის კატეგორიაზე**, რომელიც ზმნას ოსურ ენაში არა აქვს. მითითებულია, რომ ასეთ შემთხვევაში საჭიროა დამხმარე ზმნა. მაშინ, როცა ქართულში ზმნას აქვს შუალობითი კონტაქტის -ინ და -ევიზ მანარმოებელი, ოსურში ზმნის საწყის ფორმას დაერთვის მეშველი ზმნა (кæнын) ხან ორმაგად (кæнын кодтон).

ოსურ ენაში მოთხრობითი ბრუნვა არა გვაქვს და სუბიექტი ხშირად სახელობით ბრუნვაში დგას. სუბიექტი პირველი და მეორე სერის ზმნასთანაც სახელობით ბრუნვაში დგას. ეს იწვევს ასეთი რიგის შეცდომებს, **лæг худы - კაცი** იცინის, **лæг нахудти კაცი** გაიცინა (ნაცვლად მართებულია – კაცმა გაიცინა). ქართულ-ოსურ ელექტრონულ ლექსიკონში სათანადო მაგალითებია მოხმობილი.

ოსურ-ქართულ სასწავლო ელექტრონულ ლექსიკონში შუალობითი კონტაქტის გამოსახატავად გამოყენებულია ზმნის საწყისი ფორმა, რომელსაც დაერთვის დამხმარე ზმნა **кæны – хæрын кæны – აჭმევს, ныв ын кæны – უხატავს; аразын йын кæны – აკეთებინებს, амæлын йын кæны – აკვლევინებს.**

იმ შემთხვევაში, როცა ზმნა ისედაც მეშველზმნიანია, უშუალო კონტაქტის გამოსახატავად კიდევ ერთხელ დაერთვის საწყისს მეშველი ზმნა: **хæрын ын кæнын кæны – აჭმევინებს; ныв ын кæнын кæны – ახატვინებს; нуазын ын кæнын кæны – ასმევინებს.**

ამრიგად, ოსურ-ქართული ელექტრონული ლექსიკონის შედგენის დროს გათვალისწინებულია ოსური ენის სახელების, ზმნებისა და სხვა კატეგორიების თავისებურებები, რაც დაეხმარება მომხმარებელს, მარტივად გადმოსცეს სათანადო მასალა ოსური ენიდან ქართულ ენაზე.

The Ossetian-Georgian and Georgian-Ossetian dictionary was first published by us in 2012 (compiler and chief editor: N. Bepievi; editors: Acad. Nafi Jusoyti, Prof. Tamerlan Guriev, Acad. Avtandil Arabuli, Prof. Nino Popiashvili). The dictionary is accompanied by grammatical overviews of the Ossetian and Georgian languages (authors: Acad. V. Abaev; Acad. A. Arabuli).

Based on this dictionary, an Ossetian-Georgian educational electronic dictionary has been developed. Its primary principle and objective is to facilitate users' understanding and proper usage of concepts and various lexical units, addressing the difficulties associated with their comprehension and application.

It should be noted that this is the first dictionary of its kind. According to the classical classification of languages, Ossetian belongs to the Indo-European language family, specifically to the Iranian group. Accordingly, it shares phonetic, morphological, and syntactic features characteristic of this group, which must be considered and aligned with the corresponding categories of the Georgian language.

The Ossetian-Georgian educational electronic dictionary presents lexical units along with their international transliteration, Georgian equivalents, parts of speech, definitions, and corresponding Ossetian and Georgian examples.

Since no similar dictionary has previously been compiled, multiple linguistic factors have been taken into account in its development. For instance, certain verbal categories present in Georgian are absent in Ossetian. Georgian verbs exhibit three categories of version (subjective, objective, and neutral), each marked morphologically. In contrast, Ossetian lacks this category; therefore, analogous nuances are expressed by auxiliary verbs (e.g., "I did it for myself," "for him", or without reference to any beneficiary).

Special attention has also been paid to the category of contact, which is not morphologically expressed in Ossetian verbs. In such cases, auxiliary verbs are required. While Georgian employs morphological markers (-in, -evin) to express indirect contact, Ossetian uses the infinitive form combined with an auxiliary verb (кæнын), sometimes in a doubled form.

Furthermore, Ossetian does not have an ergative case comparable to Georgian. As a result, the subject often appears in the nominative case even with verbs which, in Georgian, require ergative marking. This leads to typical learner errors, which are illustrated and clarified through examples in the dictionary.

To express indirect contact in Ossetian, the dictionary uses the verb stem combined with the auxiliary verb *кæны* (e.g., *хæрын кæны* – “to feed”, *ныв ын кæны* – “to draw for someone”, etc.). In cases where the verb is already auxiliary-based, an additional auxiliary verb is introduced to convey direct causation.

Thus, in compiling the Ossetian-Georgian educational electronic dictionary, particular attention has been paid to the structural and functional features of Ossetian nouns, verbs, and other grammatical categories. This approach assists users in accurately and effectively rendering material from Ossetian into Georgian.

თინათინ ბოლქვაძე, ნატა ჩხაიძე
Tinatin Bolkvadze, Nata Chkhaidze

სხვადასხვა ენის ბგერითი სისტემების
ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის წესები და
კონვერტორები
Guidelines and Converters for the Transcription and
Transliteration of the Sound Systems of Various
Languages

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
სახელმწიფო ენის დეპარტამენტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, State Language Department*

საკვანძო სიტყვები: ტრანსკრიფცია, ტრანსლიტერაცია, კონვერტორი,
ქართული ენა, ინგლისური ენა, ჩინური ენა, ლათინური დანერვილობა,
ქართული ანბანის სამი სახეობა

Keywords: transcription, transliteration, converter, Georgian, English, Chinese,
Latin script, three types of the Georgian alphabet

სახელმწიფო ენის დეპარტამენტი სპეციალისტთა ჯგუფებთან ერთად ქმნის სხვადასხვა ენის ბგერითი სისტემების ქართულ ენაზე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის წესებს. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ქართული ენის ბგერითი სისტემის, განსაკუთრებით პირთა, გეოგრაფიულ სახელთა და სახელწოდებათა სწორად ასახვა უცხოენოვან დოკუმენტებში. ეს საკითხი დაკავშირებულია ქართული ენის ლათინურად ტრანსლიტერაციის პრობლემასთან.

მოხსენებაში განიხილება ენათა ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის პრინციპები და სახელმწიფო ენის დეპარტამენტში შექმნილი ხუთი კონვერტორი, რომლებიც განთავსდება სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომი იქნება მომხმარებელთა ფართო წრეებისთვის.

1-2) ამჟამად მსოფლიოში ყველაზე მეტად გავრცელებული საერთაშორისო ენებია ინგლისური და ჩინური. სახელმწიფო ენის დეპარტამენტში შექმნილი ორი კონვერტორი მიზნად ისახავს ინგლისური და ჩინური ენების ყველა სახის ლექსიკური ერთეულის ქართულ ენაზე სწორად ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციას.

ინგლისურ-ქართული კონვერტორი ეყრდნობა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიერ მიღებულ ინგლისური ენის ბგერითი სისტემის ქართულ ენაზე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის წესებს შესაბამისი ცვლილებებითა და გამონაკლისების გათვალისწინებით.

ჩინური ენის კონვერტორი გვაჩვენებს იეროგლიფებით ჩაწერილი მარცვლის ან/და სიტყვის, როგორც ფინიით (ტონების მითითებით) გადმოცემულ ვარიანტს, ისე მის ქართულ შესატყვისს. გარდა ამისა, ჩინური ენის არმცოდნე მომხმარებელს საშუალება აქვს, ფინიის გამოყენებით მიიღოს ჩინური მარცვლის ან/და სიტყვის ქართულად ტრანსკრიბირებული ვარიანტი.

3-4) ქართული ლექსიკური ერთეულების ლათინურად გადატანისთვის გამოყენებულია ორი სისტემა: ერთი კონვერტორი ქართულ სიტყვებს გადაიტანს გამარტივებულ ლათინურზე, რომელიც არ შეიცავს დიაკრიტიკულ ნიშნებს და არ განასხვავებს ერთმანეთისგან ქართული ენისათვის დამახასიათებელ ფშვინვიერ და გლოტალურ თანხმოვნებს. ასეთი ლათინური დაწერილობა ძირითადად გამოიყენება სამისამართო დასახელებებისა და ოფიციალურ დოკუმენტ-

ტეზში (მაგალითად, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, პასპორტი, დიპლომი, სხვადასხვა სახის მოწმობა/სერტიფიკატი და სხვა) პირთა და გეოგრაფიულ სახელთა აღნიშვნისთვის;

მეორე ქართულ-ლათინურ კონვერტორში მოცემულია ლათინური აკადემიური მიზნებისათვის, რომელშიც შედის დიაკრიტული ნიშნები. მაგალითად, თუ გამარტივებულ ლათინურში გვარი – ტაბიძე გადმოიცემა ასე: Tabidze, აკადემიური მიზნებისათვის გამოყენებულ ლათინურში გლოტალიზებული ტ თანხმოვანი გადმოიცემა აპოსტროფით და დასახელებული გვარი ჩაინერება ასე: T'abidze.

5) მას შემდეგ, რაც 2016 წელს იუნესკომ ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა მსოფლიოს არამატერიალური კულტურის ძეგლად გამოაცხადა, საქართველოში ძალიან გაიზარდა ინტერესი ქართული ანბანის ასომთავრული, ნუსხური და მხედრული ვარიანტების მიმართ, რომლებსაც ხშირად სხვადასხვა სახის კულტურული და სიმბოლური ღირებულება ენიჭება. სწორედ ქართული დამწერლობის სამი სახეობის სწავლების გამარტივებას ისახავს მიზნად ერთ-ერთი კონვერტორი, რომელშიც არჩევანის მიხედვით მომხმარებელს შეუძლია შეიტანოს ნებისმიერი ტექსტი ასომთავრული, ნუსხური ან მხედრული სახეობით და მიიღოს მისი დანერვილობა სასურველი სახით.

The State Language Department, in collaboration with groups of specialists, has been developing guidelines for the transcription and transliteration of the sound systems of various languages into Georgian. Of equal importance is the accurate representation of the Georgian sound system – particularly personal names, geographical names, and designations – in foreign-language documents. This issue is closely linked to the problem of transliterating Georgian into the Latin script.

The paper examines the principles underlying the transcription and transliteration of languages, and presents five converters developed at the State Language Department, which will be hosted on the Department's official website and made freely accessible to a wide range of users.

1–2) English and Chinese are currently the most widely used international languages in the world. Two converters developed at the State Language

Department are designed to ensure the accurate transcription and transliteration of all types of lexical units from English and Chinese into Georgian.

The English-Georgian converter is based on the guidelines for transcription-transliteration of the English sound system into Georgian, adopted by the State Language Department, with appropriate changes and considering exceptions.

The Chinese converter displays, for any syllable or word written in Chinese characters, both its Pinyin representation (with tone marks) and its Georgian equivalent. In addition, users unfamiliar with the Chinese language have the option of entering a Pinyin form in order to obtain the transcribed Georgian rendering of a given Chinese syllable or word.

3–4) Two systems have been employed for the romanization of Georgian lexical units. The first converter transliterates Georgian words into a simplified Latin script that contains no diacritical marks and does not distinguish between the aspirated and ejective consonants characteristic of the Georgian language. This form of romanization is used primarily in address designations and official documents – such as identity cards, passports, diplomas, and certificates of various kinds – for the rendering of personal and geographical names.

The second Georgian-to-Latin converter provides a Latin script intended for academic purposes, which incorporates diacritical marks. For instance, whereas in the simplified Latin system the surname ტაბიძე (*Tabidze*) is rendered as *Tabidze*, in the academically oriented system the ejective consonant *t* is represented by an apostrophe, yielding the spelling *T'abidze*.

5) In 2016, UNESCO inscribed the “Living culture of three writing systems of the Georgian alphabet” on the Representative List of the Intangible Cultural Heritage of Humanity. after UNESCO’s proclamation, interest in Georgia in the Asomtavruli, Nuskhuri, and Mkhedruli variants of the Georgian alphabet grew considerably, with these scripts frequently being ascribed diverse cultural and symbolic significance. One of the converters is specifically designed to facilitate the teaching of all three Georgian scripts: depending on the user’s preference, any text may be entered in Asomtavruli, Nuskhuri, or Mkhedruli, and its rendering in any of the other desired types may be obtained.

გიორგი ლეკიაშვილი, თამარ გელაშვილი
Giorgi Lekiasvili, Tamar Gelashvili

ინგლისურ-ქართული კონვერტორი:
შექმნის პრინციპები, გამოყენება და პერსპექტივები
English Georgian-Converter: Principles, Usage and
Perspectives

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

საკვანძო სიტყვები: კონვერტორი, ინგლისური, ქართული,
ტრანსლიტერაცია, ქართული დამწერლობა
Keywords: converter, English, Georgian, transliteration, Georgian writing

„ინტერნეტმა შეიძლება ძალიან პოზიტიური როლი შესარულოს განათლების, ორგანიზებისა და გათვინობიერებული საზოგადოების შექმნაში“, – წერდა ნოამ ჩომსკი. მართლაც, 21-ე საუკუნემ ბევრი სიახლე მოიტანა და ხელი შეუწყო კაცობრიობის განვითარებაში ახალი ეტაპის შექმნას, რომელმაც არსებითად შეცვალა საზოგადოებრივი ცხოვრების დინამიკა. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ, გლობალიზაციამ და ხელოვნური ინტელექტის შექმნამ არა მხოლოდ ახალი პრობლემებისა და სირთულეების წინაშე დააყენა ადამიანი, არამედ განვითარების ახალი პერსპექტივებიც გამოაჩინა და სიახლეები საჭირო და გარდაუვალი გახადა. ამ გზაზე ენობრივ სისტემათა სხვადასხვა სახის კონვერტორები მნიშვნელოვანი ტექნიკური საშუალებაა გარკვეული სიძნელეების დასაძლევად.

სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ერთ-ერთი ამოცანაა სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვა სახელმწიფო ენის განვითარებისა და საქართველოს ენობრივი მრავალფეროვნების წარმოსაჩენად. ამას ემსახურება ენის დეპარტამენტის მიერ წარმონწყობული ინიციატივა, რომ შექმნას სხვადასხვა ენის ბგერითი სისტემების კონვერტორები ქართულ ენაზე.

ინგლისური ენის ბგერითი სისტემის ქართულ ენაზე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესების მიხედვით შექმნა ინგლისურ-ქართული კონვერტორი, რომელიც ამ ეტაპზე იცდება და მალე ფართო საზოგადოებისათვის იქნება ხელმისაწვდომი.

მოხსენებაში განიხილება ინგლისურ-ქართული კონვერტორის მნიშვნელობა და სირთულეები, რომლებსაც მუშაობის პროცესში ვაწყდებოდით. კონვერტორში გათვალისწინებულია ის გამონაკლისები, რომლებიც სხვადასხვა ენისა თუ კულტურის გავლენითა და გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური თუ იდეოლოგიური ჩარევით შეიქმნა ქართულ ენაში, განსაკუთრებით, ინგლისურენოვანი საკუთარი სახელების ქართულენოვანი ვარიანტები. ამას გარდა, ინგლისურ-ქართულ კონვერტორზე მუშაობამ, რომელიც ძალიან დიდ ლინგვისტურ მასალას დაეფუძნა, ზოგიერთი ტრანსლიტერაციის წესის დაზუსტებისა და/ან შეცვლის საჭიროებაც გამოიწვია. მოხსენებაში განხილული იქნება რამდენიმე ასეთი მაგალითი.

მოხსენების დასკვნით ნაწილში შეჯამებულია კვლევის შედეგები და განხილულია კონვერტორის განვითარებისა და გამოყენების პერსპექტივები.

“The internet could be a very positive step towards education, organisation and participation in a meaningful society,” argued Noam Chomsky; indeed, the 21st century brought many innovations and marked the beginning of a new stage in the development of humanity, which has fundamentally the dynamics of public life. The development of information technologies, globalization, and the creation of artificial intelligence have posed new challenges and difficulties not only to humanity and people, but also revealed new perspectives for development and made innovations necessary and inevitable. One of the tasks of the State Language Department is to plan various events for the development of the state language and the presentation of the linguistic diversity of Georgia. The initiative launched by the Language Department to create a converter from different languages to Georgian serves precisely this purpose.

The English-Georgian converter has been created according to the guidelines for transcription-transliteration of the English phonetic system into Georgian, which is currently in test mode and will soon be available to the general public. This article discusses not only the importance of the English-Georgian converter, but also the difficulties the working group encountered during the process.

ქეთევან მარგიანი, მედეა საღლიანი, ნატო შავრეშიანი,
რუსუდან იოსელიანი, ხათუნა იოსელიანი
Ketevan Margiani, Medea Sagliani, Nato Shavreshiani,
Rusudan Ioseliani, Khatuna Ioseliani

სვანური ტოპონიმის: სტრუქტურული და
სემანტიკური ანალიზი
Svan Toponymy: Structural and Semantic Analysis

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics
TSU Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology*

საკვანძო სიტყვები: ქართველური ენები, ტოპონიმი, ჰიდრონიმი,
მოტივაცია

Keywords: Kartvelian languages, toponym, hydronym, motivation

სვანური ტოპონიმის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, რადგან სვანური ენა ქართველურ ენათა ოჯახის ერთ-ერთი უძველესი და არქაული ნიშნების შემნახველი წევრია. იგი გამოირჩევა როგორც ფონეტიკური, ისე მორფოლოგიური და ლექსიკური თავისებურებებით. მასში შემორჩენილია მრავალი არქაული ენობრივი ელემენტი, რომლებიც სხვა ქართველურ ენებში აღარ გვხვდება ან ტრანსფორმირებული სახით არის წარმოდგენილი. ეს თავისებურებები აისახება სვანურ ტოპონიმულაში. შესაბამისად, სვანური ტოპონიმულა არის მნიშვნელოვანი წყარო როგორც ენის ისტორიის, ისე დიალექტოლოგიური კვლევებისთვის.

ამიტომაც სვანური ტოპონიმის ძირფესვიანად შესწავლა საშური საქმეა. წინამდებარე მოხსენებაში ასახულია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიერ დროულად შემუშავებული და ჩვენ მიერ შესრულებული პროექტის, „სვანური ტოპონიმის“, აღწერა და ანალიზი.

სვანური ტოპონიმულა ხასიათდება რამდენიმე მნიშვნელოვანი თავისებურებით. პირველ რიგში, აღსანიშნავია ტოპონიმების მოტივირებულობა – სახელწოდების ფორმა ხშირად ასახავს მის მნიშვნელობას და უკავშირდება გეოგრაფიულ ობიექტს. მეორე მნიშვნელოვანი ნიშანია ბუნებასთან მჭიდრო კავშირი. სვანურ ტოპონიმებში ფართოდ არის წარმოდგენილი რელიეფის, წყლისა და კლიმატის აღწერასთან დაკავშირებული ელემენტები. ეს განპირობებულია სვანეთის გეოგრაფიული გარემოთი, რომელიც მაღალმთიან და რთულ რელიეფს წარმოადგენს.

გარდა ამისა, სვანური ტოპონიმულა ინახავს არა მარტო ქართველურ არქაულ ლექსიკურ ფენებს, არამედ ხშირად კავკასიურსაც, რაც ზოგჯერ საერთო იბერიულ-კავკასიური მონაცემია, უფრო ხშირად კი – ჩრდილოკავკასიულ ხალხებთან მჭიდრო ურთიერთობის შედეგი.

სვანური ტოპონიმულა ასევე გამოირჩევა მორფოლოგიური მრავალფეროვნებით. ტოპონიმების სტრუქტურაში ხშირად გვხვდება კომპოზიტური ფორმები და სიტყვათწარმოების სხვადასხვა მოდელი, რაც მიუთითებს ენობრივი სისტემის ისტორიულ სიღრმეზე.

წინამდებარე მოხსენების მიზანია ზემოთ აღნიშნული პროექტის ფარგლებში ჩვენ მიერ დამუშავებული სვანური ტოპონიმების ძირითადი მახასიათებლების მიმოხილვა, მათი სტრუქტურული და სე-

მანტიკური თავისებურებების ანალიზი, აგრეთვე მათი მნიშვნელობის წარმოჩენა კულტურულ-ისტორიულ კონტექსტში.

The Svan toponymy is of particular interest because the Svan language is one of the oldest members of the Kartvelian language family and it has preserved many archaic features. The Svan language is distinguished by its phonetic, morphological and lexical peculiarities. It retains numerous archaic linguistic elements that are no longer found in other Kartvelian languages or appear there only in transformed forms. These features are reflected in the Svan toponymy. Accordingly, the Svan toponymy is an important source for studying the history of the language and dialectological research.

Therefore, a thorough study of the Svan toponymy is an urgent task. The paper embraces the description and analysis of the project “Svan Toponymy,” which has been developed by the State Language Department and carried out by us.

The Svan toponymy is characterized by several important peculiarities. First of all, it is noteworthy that toponyms are motivated – the form of a name often reflects its meaning and is connected to the geographical object it denotes. Another important feature is the close connection with nature. Elements related to the description of the terrain, water and climate are widely represented in Svan toponyms. This is due to the geographical environment of Svaneti, which is characterized by high mountains and complex terrain.

In addition, it should be noted that the Svan toponymy preserves not only archaic lexical layers of the Kartvelian languages, but Caucasian elements as well. In some cases, this is common Iberian-Caucasian data, and, more frequently, it is the result of close contacts with North Caucasian peoples.

The Svan toponymy is also distinguished by its morphological diversity. In the structure of toponyms, composite forms and diverse word-formation patterns are frequently encountered, which indicates the historical depth of the Svan language system.

The aim of the paper is to review the key peculiarities of the Svan toponyms, analyzed by us within the framework of the above-mentioned project. The paper also focuses on the structural and semantic features of the Svan toponyms and highlights their significance within the cultural-historical context.

რუსუდან მიქელაძე
Rusudan Mikeladze

ქართული ენის სწავლების საკითხი
დიუმეზილის პირად არქივში დაცული
დოკუმენტების მიხედვით

The Issue of Teaching the Georgian Language
According to Documents Preserved in Dumézil's Personal
Archive

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

საკვანძო სიტყვები: ცივილიზაციის ენა, ქართული ენა,
ფრანგული ქართველოლოგია, ჟურნალი „ბედი ქართლისა“,
დიუმეზილის პირადი არქივი

Keywords: language of civilization, French Kartvelology,
journal “Bedi Kartlisa”, Dumézil's personal archive

1963 წელს პარიზში გამოცემულ ჟურნალში „ბედი ქართლი-სა“ გამოქვეყნებული მასალების მიხედვით, ქართული ენა მოიხსენება როგორც ცივილიზაციის ენა. ამ პერიოდის საფრანგეთში ორი ცნობილი ლინგვისტი – პირველი, კოლეჟ დე პრანსის პროფესორი ჟორჟ დიუმეზილი და მეორე, ბასკური ენის აკადემიის წევრი რენე ლაფონი, თავიანთი საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილს უთმობენ ქართული და, ზოგადად, კავკასიური ენების შესწავლას. ქართული ენა ასევე ისწავლებოდა პარიზის კათოლიკურ ინსტიტუტში, სადაც 1951 წელს პროფესორმა შარლ მერსიემ შეცვალა შანუან ბრიერი და ჩაიბარა ქართული ენის სწავლების კურსი.

1951 წელს რ. ლაფონმა კვლევები ბასკური და ქართული ენების წარმომავლობის შესახებ პარიზის უნივერსიტეტის ლინგვისტიკის ინსტიტუტის კონფერენციაზე წარადგინა და აღიარა ამ ენათა შორის ნათესაობა. იგი აღნიშნავდა, რომ „ძველი დროიდან ლაპარაკობდნენ და დღესაც ლაპარაკობენ პირენეებზე კავკასიურ ენებთან დანათესავებული ენის არსებობაზე. ბასკურ-კავკასიური ლინგვისტიკის კვლევის არეალი ფართოა და განსხვავებული სახის სამუშაოებს მოიცავს. ყველაზე მოკრძალებული საქმეა მასალების შეგროვება, ყველაზე უმნიშვნელოც კი საყურადღებოა და ეს სასწრაფოდ არის გასაკეთებელი, რადგან დიალექტები და თავად ენაც ჩაქრობის გზაზეა, იკარგება არქაიზმები, იშლება იდენტობა“.

რ. ლაფონის ქართული ენის ცოდნამ ევროპის სამეცნიერო წრეებში საყოველთაო აღიარება მოიპოვა, სწორედ მას მიანდეს ციურის უნივერსიტეტში პროფესორ კიტა ჩხენკელის მიერ დაწყებული ქართული ლექსიკონის დასრულება.

ჟ. დიუმეზილი ითვლება ქართული და კავკასიაში ყველა ენის ექპერტად. როდესაც საფრანგეთის უმაღლეს სასწავლებლებში წამოიჭრებოდა ქართული ენის საკითხი, მას ინვედნენ კომისიის წევრად. 1951 წელს სწორედ დიუმეზილს დაუკვეთა „სახელგანთქმული მწერლების“ კოლექციის გამომცემელმა ლუსიენ მაზენდომ შოთა რუსთაველზე ტექსტის მომზადება.

1963 წელს პარიზის ლინგვისტური საზოგადოების ცნობარში ჟ. დიუმეზილმა კომენტარების დართვით გამოაქვეყნა აკაკი შანიძის სტატია ქართული ზმნის შესახებ. ამავე წელს საფრანგეთის უმაღ-

ლესი სწავლების პრაქტიკული სკოლის (EPHE) მეხუთე სექციის დეკანმა მ. ბროდელმა ჟ. დიუმეზილის ხელმძღვანელობით ჩამოაყალიბა კავკასიური ენებისა და ტრადიციების სასწავლო კურსი.

1965 წლის ნოემბრიდან მოყოლებული აღმოსავლური ენების ეროვნულ სკოლაში (Inalco) დიუმეზილის დოქტორანტი ჟორჟ შარაშიძე წარუძღვა ქართული ენის სწავლების კურსს და მალევე დაიცავა დისერტაცია ქართული ფოლკლორის თემაზე.

კავკასიური ენათმეცნიერება წარმოადგენს ცალკეულ მეცნიერთა კვლევის საგანს. მათ შორის კავშირს ამყარებდა ჟურნალი „ბედი ქართლისა“, რომლის ბედიც ხანშიშესულმა კალისტრატე სალიამ 1978 წლით დათარიღებული წერილით ჟ. დიუმეზილს მიანდო.

According to materials published in 1963 in the Paris journal *Bedi Kartlisa - Revue de Kartvélogie*, the Georgian language is referred to as a language of civilization. During this period in France, two well-known linguists – first, Professor Georges Dumézil of the Collège de France, and second, René Lafon, a member of the Basque Language Academy – devoted an important part of their scholarly work to the study of the Georgian language and, more broadly, Caucasian languages.

The Georgian language was also taught at the Catholic Institute of Paris, where in 1951 Professor Charles Mercier replaced Chanoin Brière and took over the Georgian language course.

In 1951, René Lafon presented his research on the origins of the Basque and Georgian languages in the form of a conference before the Institute of Linguistics of the University of Paris, where he recognized the kinship between these languages. He noted that “since ancient times people have spoken – and still speak – about the existence in the Pyrenees of a language related to the Caucasian languages. The field of Basque-Caucasian linguistics is broad and includes various kinds of work. The most modest task is the collection of materials; even the most insignificant is worthy of attention, and this must be done urgently, because the dialects, and the language itself,

are on the path to extinction; archaisms are disappearing and identity is being lost.”

René Lafon’s knowledge of the Georgian language gained universal recognition in European academic circles. It was to him that the University of Zurich entrusted the completion of the Georgian dictionary begun by Professor Kita Chkhenkeli.

Georges Dumézil was considered an expert on Georgian and all the languages of the Caucasus. Whenever the issue of Georgian language studies arose in French higher educational institutions, he was invited to participate as a member of the commission. In 1951, Lucien Mazenod, publisher of the collection *“Famous Writers,”* commissioned Dumézil to prepare a text on Shota Rustaveli.

In 1963 Dumézil published, with commentaries, Akaki Shanidze’s article on the Georgian verb in the bulletin of the Linguistic Society of Paris. In the same year, the head of the Fifth Section of the Practical School of Higher Studies in France (EPHE), M. Braudel, established a course on Caucasian languages and traditions under the direction of Dumézil.

From November 1965 onward, at the National School of Oriental Languages (Inalco), Dumézil’s doctoral student George Sharashidze conducted a course in the Georgian language and soon defended his dissertation on Georgian folklore.

Caucasian linguistics was the subject of research for individual scholars, whose connections were maintained through the journal *Bedi Kartlisa*. The fate of this journal was entrusted to Dumézil by the elderly Kalistrate Salia, according to a letter dated 1978.

ნინო პოპიაშვილი
Nino Popiashvili

ქართული ლიტერატურის სწავლება ქართულის,
როგორც მეორე ენის პროგრამის
სტუდენტებისათვის: მიზნები და გამოწვევები
Teaching Georgian Literature to Students of Georgian as
a Second Language Programs: Goals and Challenges

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა, ქართული ლიტერატურა, ინტეგრაცია,
ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება

Keywords: Georgian language, Georgian literature, integration, Content and
Language Integrated Learning (CLIL)

ქართულ ენაში მომზადების საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამები განკუთვნილია საქართველოს მოქალაქე აზერბაიჯანულ-, აფხაზურ-, სომხურ- და ოსურენოვანი აბიტურიენტებისთვის, რომლებიც სათანადოდ ვერ ფლობენ სახელმწიფო ენას. აღნიშნული სტუდენტები ერთიან ეროვნულ გამოცდებს აბარებენ მშობლიურ ენაზე და შემდგომ სწავლას აგრძელებენ ერთსაფეხურიან საუნივერსიტეტო პროგრამაზე, რომლის მიზანია ქართული ენის დაუფლება და აკადემიურ სივრცეში მათი სრულფასოვანი ინტეგრაცია.

2018 წლიდან, უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის საფუძველზე, პროგრამაში დაინერგა სტუდენტთა დაჯგუფების პრინციპი საწყისი ენობრივი კომპეტენციების მიხედვით. დარგობრივი მახასიათებელი ასევე განსაზღვრავს კომპეტენციების ძირითად სფეროებს, მათ შორის, ენობრივ უნარებს – წერას, კითხვას, მოსმენასა და ლაპარაკს, აგრეთვე ინტერკულტურულ კომპეტენციებს. პროგრამის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა არა მხოლოდ სახელმწიფო ენის სწავლება, არამედ სტუდენტთა ინტეგრაცია ქართულ ენობრივ და კულტურულ გარემოში. შესაბამისად, მნიშვნელოვანი მოთხოვნაა, რომ სტუდენტებმა შეძლონ ქართული ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობისა და ღირებულებების გაცნობა, გააზრება და პატივისცემა.

სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ენის ოთხი ძირითადი კომპონენტის განვითარებას, ასევე ენისა და საგნის ინტეგრირებულ სწავლებას (CLIL მიდგომა). აღნიშნული კი, თავის მხრივ, ოთხი კომპონენტის მოდელს ეყრდნობა, რომელთა შორის გამოიყოფა: შინაარსი, კომუნიკაცია, კოგნიცია, კულტურა:

- შინაარსი (Content) – კონკრეტული საგნობრივი ცოდნა (მაგ., ქართული ლიტერატურა, ისტორია);
- კომუნიკაცია (Communication) – ენის გამოყენება რეალურ კონტექსტში;
- კოგნიცია (Cognition) – აზროვნების განვითარება (ანალიზი, შედარება, ინტერპრეტაცია);
- კულტურა (Culture) – კულტურული ცნობიერება და ინტერკულტურული კომპეტენცია.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების პროცესში ქართული ნაციონალური რეალიების, ქვეყანათმცოდნეობითი საკითხებისა და ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიის გათვალისწინება.

ქართული ლიტერატურის ინტეგრირება სასწავლო პროცესში, მათ შორის, ადაპტირებული ტექსტების გამოყენებით, ერთდროულად ქმნის როგორც ენობრივი უნარების განვითარების, ისე კულტურული იდენტობის გააზრებისა და ინტერკულტურული კომუნიკაციის ფორმირების შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებას თან ახლავს გარკვეული პრობლემები – ტექსტების ენობრივი სირთულე, სტუდენტთა საწყისი ენობრივი დონის სხვადასხვაობა და სხვ. – უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შესაბამისი მეთოდოლოგიური მიდგომების გამოყენებით შესაძლებელია მათი დაძლევა.

ქართული ლიტერატურის სწავლება ქართულის, როგორც მეორე ენის საუნივერსიტეტო პროგრამის კონტექსტში უნდა განიხილებოდეს, როგორც კომპლექსური საგანმანათლებლო პროცესი, რომელიც მოითხოვს მიზნობრივად შერჩეულ სასწავლო მასალას, ადაპტირებულ ტექსტებსა და მეთოდოლოგიურ სტრატეგიებს.

University preparatory educational programs in the Georgian language are designed for citizens of Georgia whose native languages are Azerbaijani, Abkhazian, Armenian, and Ossetian, and who do not possess sufficient proficiency in the state language. These students take the Unified National Examinations in their native languages and subsequently continue their studies within a one-year university program aimed at developing Georgian language competence and ensuring their full integration into the academic environment.

Since 2018, based on the sectoral benchmark of higher education, the program has introduced the principle of grouping students according to their initial language proficiency levels. The benchmark also defines key areas of competence, including language skills – writing, reading, listening, and speaking – as well as intercultural competencies. One of the main objectives of the

program is not only to teach the state language but also to facilitate students' integration into the Georgian linguistic and cultural environment. Accordingly, students are expected to develop an understanding, appreciation, and respect for Georgian linguistic and cultural identity and values.

The teaching process places particular emphasis on the development of the four core language skills, as well as on the integration of language and content learning through the CLIL (Content and Language Integrated Learning) approach. This approach is based on the 4C model, which includes the following components:

- **Content** – subject-specific knowledge (e.g., Georgian literature, history)
- **Communication** – the use of language in real contexts
- **Cognition** – the development of thinking skills (analysis, comparison, interpretation)
- **Culture** – cultural awareness and intercultural competence

In this context, it is especially important to incorporate Georgian national realities, country studies, and the historical development of Georgian literature into the process of teaching Georgian as a second language.

The integration of Georgian literature into the teaching process, including the use of adapted literary texts, simultaneously supports the development of language skills, the understanding of cultural identity, and the formation of intercultural communication. Although this approach presents certain challenges – such as the linguistic complexity of literary texts and the varying levels of students' initial language competence – it should be noted that these challenges can be addressed through appropriate methodological strategies.

Thus, teaching Georgian literature within the framework of Georgian as a second language university programs should be viewed as a complex educational process that requires carefully selected teaching materials, adapted texts, and flexible methodological approaches.

ინგა სანიკიძე
Inga Sanikidze

ვინ ნაცვალსახელის ძირეული ფუნქციისთვის
ქართულში
The Core Function of the Pronoun *ვინ (who)*
in Georgian

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

საკვანძო სიტყვები: ნაცვალსახელი, ფუნქციები, გრამატიკული პირი
Keywords: pronoun, functions, grammatical person

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ერთადერთ ი-ფუძიან ერთეულად წოდებული ვი-ნ ფორმა ტრადიციულად კითხვით ნაცვალსახელთა ჯგუფშია მოთავსებული და ნათქვამია, რომ „**ვინ** და **რა** ქართული ენის უძველესი ფენის“ კუთვნილებაა. მიუხედავად ამ ზოგადი ხასიათის წანამძღვრისა, არის ის, რაც **ვინ** ნაცვალსახელის ფუნქციის თვალსაზრისით არანაკლებ არის ანგარიშგასაწვევი. კერძოდ, კითხვა ასე დაისმის – რაში მდგომარეობს **ვინ** ნაცვალსახელის, როგორც ენობრივი ნიშნის, მორფოსემანტიკური ორიგინალობა, როცა კომუნიკაციურ აქტში ის რეალურ მოცემულობას ასახავს? ან რა ობიექტურ მოცემულობასთან გვაქვს საქმე, როცა კითხვით ნაცვალსახელად წოდებული **ვინ** ნაცვალსახელი განუსაზღვრელობითი სემანტიკის მქონეა ან რომელმა ისტორიულმა ფუნქციამ შეუწყო ხელი ერთსა და იმავე ფორმას, რეალიზებულიყო სხვადასხვა შინაარსად? (შდრ. კითხვითი: „მოასპარეზებდ ვინ მგავსო? – ცუდნიდა უკუთქმანია“; განუსაზღვრელობითი: „არა არ გვითხრა, ვინ იყო ან ვისგან ნამუხთალავი“).

უნდა აღინიშნოს, რომ **ვინ** ნაცვალსახელი ვერბალურ პროცესში ძირითადად მოსაუბრე თუ ცნობიერი პირის ფოკუსში ობიექტზე მითითების მიზნით ექცევა, ე.ი. ამავე ობიექტის აღნიშვნაზეა ორიენტირებული და რა არის ეს ორიენტირი – კითხვა თუ განუსაზღვრელობა, რომლებიც, ჩვენი აზრით, ზედნაშენური ხასიათისა მოჩანს. მარტივად რომ ითქვას, ეს კითხვისა თუ განუსაზღვრელი შინაარსის მქონე სუბსტანცია არც კითხვას და არც განუსაზღვრელობას არ მიემართება. პირველსაწყისი ოდენობა გრამატიკული პირი მოჩანს, რომელიც სხვადასხვა ფუნქციით შეიარაღებული **ვინ** ფორმის სამიზნე აღმნიშვნელი უნდა იყოს.

ქართული ენის დონეზე გამორიცხულია ის, რომ **ვინ** ნაცვალსახელის (იგულისხმება სახ., მოთხრ., მიც. ბრუნვის ფორმები) სემანტიკურმა ფარგლებმა მზნასთან შეწყობილი გრამატიკული პირი არ გამოხატოს. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე დაყრდნობითაც ნათლად ჩანს, რომ სინტაქსურ სტრუქტურაში **ვინ** ნაცვალსახელი ხან სუბიექტის ფარდ სახელს ჩანაცვლებული ნაცვალსახელია, ხან – ობიექტისა. ამას სამპირიანი „მი-ს-ც'ემ-ს“ [ის მას მას] მზნის წინადადებაში განმლით მიღებული სინტაქსური კომბინაციებიც დაადასტურებს. მაგა-

ლითში – „ვინ არ მისცემს ქაღებულსა“ – ვინ სუბიექტური პირის აღმნიშვნელი ოდენობაა, ე.ი. იგივეა, რაც „ის [ვინმე ან ვილაც] არ მისცემს ქაღებულსა“ [//დანაპირებს], ხოლო მეორე შემთხვევაში – „რაცა ვის რა ბედმან მისცეს“ – მიცემითბრუნვიანი ირიბი ობიექტის გამომხატველი გრამატიკული პირი. ხაზგასასმელია, რომ ვინ ნაცვალსახელი პირდაპირ ეკვივალენტად არ თავსდება პირის რომლობის მორფოლოგიური კატეგორიის ტრადიციული განსაზღვრის არცერთ სემანტიკურ მოდელში (არც მოუბარ I პირს, არც მოუბარის მიმართვის ობიექტს, ანუ II პირს და არც III პირის გამოხატავს). რომლობის სამივე ეს მიმართულება თავს იყრის ადამიანის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის გამომხატველი ვინ-ის პოტენციურ შესაძლებლობებში და მათგან იმით განსხვავდება, რომ ვინ ნაცვალსახელი ძველ და ახალ ქართულ ენაში სამივე პირის ჩვენების მიმართ მზაობასა და პოტენციური გამოხატვის შესაძლებლობას შეიცავს, ეს კი მისი, როგორც სხვა სახელთა ჩანაცვლებისა და კომუნიკაციის გრამატიკული ფუნქციით დატვირთული მოქნილი ინსტრუმენტის, არსებითი განმასხვავებელია.

ქართულ გრამატიკულ ლიტერატურასა და ტრადიციულ კლასიფიკატორებზე დაყრდნობა ერთგვარად ხელს უშლის გავცდეთ ემპირიულ მოცემულობებს. ნ. ჰომსკის შეხედულება, რომ ლინგვისტიკამ დამოკიდებულება უნდა შეცვალოს მაშინაც კი, როცა საქმე თუნდაც ტერმინებს ეხება და, ამასთან, ოპერაციული ანალიზი არ შეიძლება აიგოს ე.წ. „პრიმიტივებზე“, საზოგადო მნიშვნელობისაა. ცალსახად ნათელია, რომ ვინ ნაცვალსახელის შემთხვევაშიც, კითხვითი იქნება ის თუ განუსაზღვრელობის ფუნქციისა, სამიზნე აღმნიშვნელი სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვების ფარგლებში ყოველთვის პირია და არა სხვა რამ. ცალკე განხილვის საგანია დანარჩენ ბრუნვებში მისი გამოყენება. ამ თვალსაზრისით, საინტერესო განსაკუთრებით უბრალო დამატების შემთხვევებია, თუმცა შეუიარაღებლადაც მოჩანს, რომ აქაც პირის კატეგორიის გამოხატვა მძლავრობს.

უდავოა, რომ ნაცვალსახელი სხვა სახელებს უკვე ჩანაცვლებული ლექსიკურ-გრამატიკული ერთეულია. შესაბამისად, ის ვერ ჩაენაცვლება თავად ნაცვალსახელს, ანუ არასდროს გვექნება

საქმე მისი, როგორც მეტყველების ნაწილის, ორმაგი ჩანაცვლების ენობრივ ფაქტთან. ამგვარ ვითარებაში, რას ენაცვლება ან რას გამოხატავს ვინ-ი, თუ არა პირს, უფრო ზუსტად, განუსაზღვრელ, ანუ ზოგად პირს.

ვინ ნაცვალსახელის გამოყენებისას კითხვითი წინადადებიდან თხრობითისაკენ, ან თხრობითიდან კითხვითისაკენ მიმოქცევის პროცესი არსებითად „თუ“ კავშირის გამოყენება-არგამოყენებას უკავშირდება (შდრ. კითხვითი – „*მოტანილს ვინ დარაჯობს?*“; განუსაზღვრელობითი – „*ვიცი, [თუ] ვინ დარაჯობს მოტანილს*“). სინტაქსური და, შესაბამისად, მოდალური სტრუქტურების ცვლილება გავლენას ახდენს ვინ ნაცვალსახელის არა მორფოლოგიურ ფორმაზე, არამედ – ფუნქციაზე.

საგულისხმოა, რომ პირის გამოხატვის ფუნქცია კითხვითი წინადადების სტრუქტურაშიც ისეთივე ძალისაა, როგორც თხრობითში გვაქვს. სინტაქსურ-სემანტიკურად სრულად განსაზღვრული, ანუ მთლიანი, წინადადება კარგად აჩვენებს ვინ ნაცვალსახელის სხვადასხვა ტრადიციულ ჯგუფში მიმოქცევის პროცესს, თუმცა იმავე მიმოქცევისას იკვეთება, რომ ის განუსაზღვრელი თუ ზოგადი პირის გამოხატვის ძირეულ სემანტიკას ეფუძნება. ქართველურ ენათა მონაცემებზე დაყრდნობით, სამეცნიერო ლიტერატურაში ვ- სუბიექტური პირის ადამიანთა, კერძოდ, მამაკაცთა კლასის, მისივე პარალელური მ- ნაცვალსახელოვანი ელემენტისა და ამავდროულად პირის ნიშნის (ქართ. ვი(ნ) – ზან. მი(ნ), ინგილ. მი(ნ)), ასევე, ადამიანთა კლასისა და პიროვან-კლასოვანი უღლილების ნაშთად გააზრება, ვფიქრობთ, რომ ქართული ენის თანამედროვე ეტაპამდე უნარჩუნებს ვი ფუძის ვ- ნაცვალსახელოვან მორფემას პირის გამოხატვის ფუნქციას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ვინ ნაცვალსახელის (კითხვითი იქნება ის თუ განუსაზღვრელი) უძველესი მორფოლოგიური მდგენელი თანამედროვე ქართულ ენაშიც უნარჩუნებს მას ზოგადი პირის, და არა სხვა რომელიმე კატეგორიის, გამოხატვის ძირეულ ფუნქციას.

In Georgian scholarly literature, the form **who (ვი'ნ)**, designated as the only **i-stem unit**, is traditionally placed within the group of interrogative pronouns, and it is noted that **“who (ვი'ნ) and what (რა) belong to the most ancient stratum of the Georgian language”**. Despite this general introductory characterization, there remain issues that are no less significant from the standpoint of the functional analysis of the pronoun **who (ვი'ნ)**. Specifically, the question is posed as follows: in what does the morphosemantic originality of the pronoun **who (ვი'ნ)**, as a linguistic sign, consist when, in the communicative act, it reflects concrete reality? Or with what kind of objective reality are we dealing when the pronoun termed interrogative **who (ვი'ნ)** carries semantics of indefiniteness? Furthermore, which historical function facilitated the realization of one and the same form with different meanings? (cf. interrogative: „**მოასპარეზედ ვინ მგავსო? – ცუდნილა უკუთქმანია**“ [“Who is there in the field of contest that resembles me? – Evil indeed is the answer in return.”]; indefinite: „**არა არ გვითხრა, ვინ იყო ან ვისგან ნამუხთალავი**“ [“He did not at all tell us who he was or by whom he had been wronged.”]).

It should be noted that the pronoun **who (ვი'ნ)**, within the verbal process, is primarily oriented toward indicating an object within the focus of the speaker or cognizing subject, that is, it is directed toward the designation of that same object. What this orientation consists in – interrogation or indefiniteness – appears, in our view, to be of a superstructural nature. Simply put, the substance bearing interrogative or indefinite content is directed neither toward questioning nor toward indefiniteness itself. Rather, the primordial category appears to be grammatical person, which must serve as the target referent of the form **who (ვი'ნ)**, equipped with different functions.

At the level of the Georgian language system, it is impossible that the semantic scope of the pronoun **who (ვი'ნ)** (namely, its forms in the nominative, ergative, and dative cases) should fail to express the grammatical person coordinated with the verb. On the basis of the text of *The Knight in the Panther's Skin*, it is clearly evident that within syntactic structure the pronoun **ვი'ნ** sometimes substitutes for the correlative noun of the subject, and at other times for that of the object. This is further confirmed by the syntactic combinations obtained through the expansion of the three-personal verb **მი-ს-ც'ემ-ს** (“he

gives it to him”). In the example – „ვინ არ მისცემს ქადებულსა“ – **who (ვინ)** denotes the quantitative marker of the subject person, i.e., it is equivalent to “he [someone] will not give to the one praised [//the promised one].” In another case – „რაცა ვის რა ბედმან მისცეს“ – it expresses the grammatical person of the dative-marked indirect object. It must be emphasized that the pronoun **who (ვინ)** does not fit directly as an equivalent into any semantic model of the traditional morphological definition of grammatical person (it expresses neither the speaker, i.e., first person; nor the addressee, i.e., second person; nor exclusively the third person). Rather, all three orientations of personhood converge within the potential capabilities of **who (ვინ)** as an exponent of the functional-semantic category of humanness. What distinguishes it is that, in both Old and Modern Georgian, the pronoun **who (ვინ)** contains readiness and potentiality for the indication of all three grammatical persons. This constitutes its essential distinction as a flexible grammatical instrument, functionally charged with the substitution of other nominals and with communicative value.

Reliance on Georgian grammatical literature and traditional classifications, to a certain extent, hinders us from moving beyond empirical data. N. Chomsky’s view that linguistics must revise its approach even when dealing with terminology, and that operational analysis cannot be constructed on so-called “primitives” is of general methodological significance. It is unequivocally clear that in the case of the pronoun **who (ვინ)**, whether functioning as interrogative or as indefinite, the target referent within the nominative, ergative and dative cases is always a grammatical person and nothing else. Its use in the remaining cases constitutes a separate subject of inquiry. From this perspective, instances involving the simple object are particularly noteworthy; yet even without detailed analysis, it is evident that here too the expression of the category of person predominates.

It is indisputable that a pronoun is a lexical-grammatical unit that already substitutes for other nominals. Accordingly, **it cannot substitute for another pronoun itself; that is, we never encounter a linguistic fact of its double substitution as a part of speech.** In such a situation, what does **who (ვინ)** substitute for or express, if not person – more precisely, an indefinite, that is, a generic person?

When using the pronoun **who (ვინ)**, the process of shifting from an interrogative sentence to a declarative one, or from a declarative to an interrogative, is essentially connected to the use or non-use of the conjunction “**whether**”/“**if**” („თუ“) (cf. interrogative – “**Who guards what has been brought?**” („მოტანილს ვინ დარაკობს?“); indefinite – “**I know [whether] who is guarding what has been brought.**” („ვიცი, [თუ] ვინ დარაკობს მოტანილს“). Changes in syntactic and, consequently, modal structures affect not the morphological form of the pronoun **who (ვინ)**, but its function.

It is noteworthy that the function of expressing person in interrogative sentence structures is just as strong as it is in declarative sentences. A syntactically and semantically fully defined, that is, complete sentence clearly demonstrates the process of the pronoun **who (ვინ)** circulating across its various traditional groups. Yet, in the course of this circulation, it becomes evident that it is grounded in the fundamental semantics of expressing an indefinite or generic person. Based on data from Kartvelian languages, the scientific literature interprets the **v-subjective person** as a class of humans, specifically men (Javakhishvili, 1992), in parallel with the **m-pronominal element** and, at the same time, as a marker of person (Georgian **who ვი(ნ)** – Zan mi(n) მი(ნ), Ingil mi(n) მი(ნ), as well as a class of humans and as remnants of person-class markers. We argue that, in the modern stage of the Georgian language, the **v-pronominal morpheme of the vi-stem** retains its function of expressing person. In other words, the most ancient morphological determinant of the pronoun **who (ვი(ნ))** (whether interrogative or indefinite) in Modern Georgian preserves its core function of expressing a generic person, rather than any other grammatical category.

რათი სხირტლაძე, ლეილა ავიძბა, ნათია ფონიავა
Rati Skirtladze, Leila Avidzba, Natia Poniava

ციფრული ტექნოლოგიების როლი აფხაზური ენის
(A1 დონე) სწავლების პროცესში
The Role of Digital Technologies in Teaching
the Abkhaz Language (A1 Level)

ააიპ „ენაგრამა“

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
აფხაზეთის ინსტიტუტი, თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი*

NNLE Enagram

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Institute of Abkhazian Studies

TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics

საკვანძო სიტყვები: აფხაზური ენა, ელექტრონული სწავლება, აფხაზური
ვირტუალური კლავიატურა, ინტერაქტიული საგარჯიშოები

Keywords: Abkhazian language, e-learning, Abkhazian virtual keyboard,
interactive exercises

ციფრულ ეპოქაში ენის გადარჩენისა და განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა, რომ ის თანამედროვე ტექნოლოგიებს მოერგოს. ეუნესკოს მონაცემებით, აფხაზური ენა პოტენციურად დაუცველი ენების კატეგორიას მიეკუთვნება (UNESCO. 2010. Abkhaz. *The world atlas of languages*. <https://en.wal.unesco.org/search?keys=Abkhaz> (20.03.2026). ამ რეალობაში, ციფრული სასწავლო რესურსების შექმნა არა მხოლოდ დამხმარე ინსტრუმენტია, არამედ აუცილებელია აფხაზური ენის პოპულარიზაციისა და შენარჩუნებისთვის.

დღეისათვის არსებული აფხაზური ენის რესურსები – ბეჭდური სახელმძღვანელოები (ავიძბა ლეილა, კოკოსკერია ესმა. 2017. აფხაზური ზეპირმეტყველების გაკვეთილები. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა; გვანცელაძე, თეიმურაზ, რიტა ამიჭბა-მარღანია, ოსია-კინწურაშვილი ირმა. 2018. აფხაზური ენა დამწყებთათვის. მერიდიანი; მაჭავარიანი, ნანა, მარღანია-ამიჭბა, რიტა. 2018. აფხაზური ენის პრაქტიკული სახელმძღვანელო: გრამატიკული მიმოხილვა, ტექსტები, ლექსიკა. თსუ გამომცემლობა) ონლაინ კურსები, მაგალითად, რუსულენოვან თვითმასწავლებელზე (Джонуха Б. Г. и Киут А. Н. 2003. Самоучитель абхазского языка. Часть 1. Сухум.) დაყრდნობით შექმნილი პლატფორმა ან პროგრამა „ვისწავლოთ აფხაზური ენა“ ოსია, ირმა. 2018. *აფხაზური ენის თვითმასწავლებელი პროგრამა „ვისწავლოთ აფხაზური ენა“*. <https://abkhazia.gov.ge/banner/2> (20.03.2026; *Learn Abkhazian*. <https://www.learn-abkhazian.com/> (20.03.2026), არ არის სტრუქტურირებული ენის ფლობის დონეების მიხედვით, რაც ენის ათვისებას საგრძნობლად ართულებს.

აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და ააიპ „ენაგრამამ“, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით, სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარების ხელშემწყობი სამეცნიერო კვლევითი საგრანტო კონკურსის ფარგლებში განახორციელეს პროექტი „აფხაზური ენის ელექტრონული სწავლების კურსი – A1 დონე“. ეს ინიციატივა სრულად შეესაბამება საქართველოს სახელმწიფო ენის ათწლიან სტრატეგიას (სახელმწიფო ენის დეპარტამენტი. *სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამა (სტრატეგია) 2021-2030*. 2021. <https://enadep.gov.ge/index.php?m=123&>

news=193&lang= (20.03.2026), რადგან საქართველოს კონსტიტუციით, ქართულთან ერთად, აფხაზური სახელმწიფო ენაა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში. შესაბამისად, საქართველოს აქვს ვალდებულება იზრუნოს აფხაზური ენის ფუნქციონირებაზე, განვითარებაზე, დაცვასა და პოპულარიზაციაზე

კურსის შინაარსი მისადაგებულია ენის ფლობის საერთო ევროპულ ჩარჩოსთან (*Common European Framework Reference*. <https://www.coe.int/en/web/common-european-framework-reference-languages/level-descriptions> (20.03.2026)). იგი სპეციალურად ქართულენოვანი შემსწავლელებისთვისაა შექმნილი და ითვალისწინებს ორივე ენის სპეციფიკას. კურსის მიზანია, მაქსიმალურად გაუმარტივოს მომხმარებელს აფხაზური ენის რთული ფონემატური (ლაბიალიზებული, პალატალიზებული ფონემები) და გრამატიკული სტრუქტურის (პირ-კლასოვანი სისტემა, კითხვითი ფორმები) აღქმა. სწავლება მოიცავს 30 გაკვეთილს და ფარავს ოთხივე ენობრივ კომპონენტს: მოსმენას, კითხვას, წერასა და შეძლებისდაგვარად მეტყველებას.

პროექტის ფარგლებში შექმნილი ვებგვერდი (<https://abkhaz-enagram.ai/>) აღჭურვილია აფხაზური ვირტუალური კლავიატურით და მრავალფეროვანი ინტერაქტიული სავარჯიშოებით. მასალა მოიცავს გახმოვანებულ ტექსტებს, დიალოგებსა და ვიზუალურ ილუსტრაციებს. პლატფორმაზე მოქმედებს მყისიერი უკუკავშირის პრინციპი: სწორად შესრულებულ დავალებას აფხაზურენოვანი აუდიო-შეტყობინება და მოწონების ნიშანი ადასტურებს, ხოლო შეცდომის შემთხვევაში სისტემა მომხმარებელს ავტომატურად სთავაზობს სწორ პასუხს, რაც გავლილი მასალის უკეთ განმტკიცებას უწყობს ხელს.

აფხაზური ენის ელექტრონული კურსი არის ინოვაციური პროდუქტი, რომელიც ხსნის გეოგრაფიულ და დროით ბარიერებს, ნაწილობრივ აგვარებს კვალიფიციური პედაგოგების ნაკლებობის პრობლემას და ნებისმიერ მსურველს აძლევს შესაძლებლობას, მისთვის მოსახერხებელი ტემპით, უფასოდ დაეუფლოს აფხაზურ ენას თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით.

In the digital era, one of the key prerequisites for the survival and development of a language is its adaptation to modern technologies. According to UNESCO, the Abkhaz language is classified as a potentially vulnerable language (UNESCO. (2010). *Abkhaz*. World atlas of languages. <https://en.wal.unesco.org/search?keys=Abkhaz> (20.03.2026). In this context, the development of digital learning resources is not merely a supportive tool but a necessity for the preservation and promotion of the Abkhaz language.

Currently available resources for learning Abkhaz – such as printed textbooks (Avidzba, L., & Kokoskeria, E. (2017). *Lessons in Abkhaz oral speech*. Tbilisi University Press; Gvantseladze, T., Amichba-Margania, R., & Osia-Kintsurashvili, I. (2018). *Abkhaz language for beginners*. Meridian; Machavariani, N., & Margania-Amichba, R. (2018). *Practical manual of the Abkhaz language: Grammatical overview, texts, vocabulary*. Tbilisi University Press), as well as online courses based on Russian-language self-study materials (Jonua, B. G., & Kiut, A. N. 2003. *Abkhaz Language Self-Study Guide. Part 1*. Sukhumi) and programs like “Learn Abkhazian” (Osia, I. (2018). *Abkhaz language self-teaching program: “Let’s learn Abkhaz”*. <https://abkhazia.gov.ge/banner/2> (20.03.2026) Learn Abkhazian. (n.d.). <https://www.learn-abkhazian.com/> (20.03.2026) – are not structured according to language proficiency levels. This significantly complicates the learning process.

To address this gap, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, in collaboration with NNLE *Enagram* and with the support of the Shota Rustaveli National Science Foundation, implemented the project “*Electronic Course for Learning the Abkhaz Language – A1 Level*” within the framework of the scientific research grant competition to promote the protection and development of the state language. This initiative is fully aligned with the ten-year State Language Strategy of Georgia (State Language Department. (2021). *Unified State Language Program (Strategy) 2021-2030*. <https://enadep.gov.ge/index.php?m=123&news=193&lang=>(20.03.2026), as the Constitution of Georgia recognizes Abkhaz as a state language in the Autonomous Republic of Abkhazia alongside Georgian. Accordingly, the state bears responsibility for supporting the functioning, development, protection, and promotion of the Abkhaz language.

The course content is aligned with the Common European Framework of Reference for Languages (Common European Framework of Reference for Languages. *Level descriptions*. <https://www.coe.int/en/web/common-european-framework-reference-languages/level-descriptions> (20.03.2026). It is specifically designed for Georgian-speaking learners and takes into account the linguistic characteristics of both languages. The primary goal of the course is to facilitate learners' understanding of the complex phonemic system of Abkhaz (including labialized and palatalized phonemes) and its grammatical structure (such as the person-class system and interrogative forms). The course consists of 30 lessons and covers all four language skills: listening, reading, writing, and, to the extent possible, speaking.

The web platform developed within the project (<https://abkhaz.enagram.ai/>) is equipped with an Abkhaz virtual keyboard and a wide range of interactive exercises. The materials include audio recordings, dialogues, and visual illustrations. The platform operates on an instant feedback principle: correct answers are reinforced by audio responses in Abkhaz and positive visual indicators, while in case of errors, the system automatically provides the correct answer, thereby supporting effective reinforcement of the learned material.

The electronic Abkhaz language course represents an innovative product that overcomes geographical and temporal barriers, partially addresses the shortage of qualified instructors, and enables anyone interested to learn Abkhaz free of charge at their own pace using modern digital technologies.

მარინე ჯიბლაძე, ძიენფენგ ლი
Marine Jibladze, Jianfeng Li

ჩინურ-ქართული კონვერტორი: გამოწვევები და
პერსპექტივა
Chinese-Georgian Converter: Challenges and
Perspectives

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

საკვანძო სიტყვები: ჩინური ენის მარცვალთა სისტემა, ქართული,
ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაცია, კონვერტორი
Keywords: Chinese syllable system, Georgian,
transcription-transliteration, converter

მოსხენებაში განიხილება სახელმწიფო ენის დეპარტამენტში შექმნილი ჩინურ-ქართული კონვერტორი, რომელიც მოამზადეს ჩინური ენის ქართველმა და ჩინელმა სპეციალისტებმა. ყურადღება გამახვილდება კონვერტორის შექმნის პროცესსა და მის ფუნქციებზე, კერძოდ, მის ძირითად მახასიათებლებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მის მოქნილობასა და პრაქტიკულობას.

გარდა ამისა, მოსხენებაში წარმოდგენილი იქნება ჩინური ენის მარცვალთა სისტემის ქართულ ენაზე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის წესები, რომლებიც საფუძვლად დაედო კონვერტორს და გამოსცადეს ჩინური ენის სპეციალისტებმა ჩინურის შემსწავლელ სტუდენტებთან ერთად.

ჩატარებული სამუშაოებისა და აპრობაციის საფუძველზე დასტურდება, რომ ჩინურ-ქართული კონვერტორი არის ეფექტური და დიდ დახმარებას გაუწევს მომხმარებლებს.

The paper examines a Chinese-Georgian converter developed within the State Language Department by a joint team of Georgian and Chinese linguistic specialists. It outlines the development process and key functionalities of the converter, with particular emphasis on its core design features that ensure both flexibility and practical applicability.

The study also presents the transcription-transliteration rules developed for converting the Chinese syllable system into Georgian, which constitute the basic framework of the converter. These rules have been experimentally applied and validated in collaboration with Chinese language specialists and students of Chinese.

Findings from the development process and subsequent evaluation confirm that the Chinese-Georgian converter is an effective tool capable of providing substantial support to its intended users.



უნივერსიტეტის
გამოცემა